საქართველოს მთავრობის

დადგენილება №571

2020 წლის 10 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო პროგრამის – „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციასთან (IATA) თანამშრომლობისა და გენერალური გაყიდვების აგენტის (GSA) საქმიანობის ფარგლებში ოპერირებისათვის მეწარმე სუბიექტების მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის სუბსიდირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 ივლისის №425 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო პროგრამის – „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციასთან (IATA) თანამშრომლობისა და გენერალური გაყიდვების აგენტის (GSA) საქმიანობის ფარგლებში ოპერირებისათვის მეწარმე სუბიექტების მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის სუბსიდირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 ივლისის №425 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/07/2020 220090000.10.003.022140) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციასთან (IATA) თანამშრომლობისა და გენერალური გაყიდვების აგენტის (GSA) საქმიანობის ფარგლებში ოპერირებისათვის მეწარმე სუბიექტების მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის სუბსიდირების მექანიზმის“ პირველი მუხლის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) **მიმართვა** – პროგრამის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის მიერ გარანტიის გამცემთან დაფიქსირებული განცხადება პროგრამაში ჩართვის თაობაზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**